ნინო სულავა

ნახევარწრიული აბზინდები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (არქეოლოგიური ატლასი: ტიპოლოგია, არეალი, ქრონოლოგია, გენეზისი)

ნახევარწრიული აბზინდები კოლხური ბრინჯაოს კულტურის (ე.წ. ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს'') ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტეფაქტია, რომლის ტიპოლოგიის, არეალის, ქრონოლოგიის, გენეზისის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის არქეოლოგიური კულტურების საკამათო საკითხების განსაზღვრისათვის.

ტიპოლოგიურად ნახევარწრიული აბზინდების ორი ჯგუფი და 15 ტიპია გამოყოფილი, აგანსაზღვრულია არეალური დისტრიბუცია - კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალი, ქრონოლოგიურად I ჯგუფის აბზინდები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედს განეკუთვნებიან, ხოლო II ჯგუფის აბზინდები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრს, გენეზისის თაობაზე გამოთქმულია მოსაზრება - ნახევარწრიული აბზინდების და მართკუთხა აბზინდების ერთნაირად დამზადება, მთიან კოლხეთში (ლეჩხუმში, ცხეთის ნასახლარზე) ყალიბის აღმოჩენა, რომელშიც მეანდრისებური სვასტიკის ფორმის საინკრუსტაციო მასალა (მინა თუ ლითონი ?) ჩამოისხმებოდა, როგორიც დამახასიათებელია დიდი ზომის მართკუთხა აბზინდებისათვის და ზოგიერთი ნახევარწრიული აბზინდებისათვის, რეალურს ხდის ამ ნივთების აქ, მთიან კოლხეთში ადგილობრივი დამზადების შესაძლებლობას, რეგიონში, რომელიც კოლხური სპილენძის მეტალურგიის წარმოშობის ერთ-ერთ კერად არის მიჩნეული.

კავკასიაში, კავკასიის ქედის ორივე მხარეს, e.w. ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს'' არეალში[1] გავრცელებული ბრინჯაოს ნახევარწრიული აბზინდები[2], კავკასიის უძველესი სპილენძის მეტალურგიის ერთ-ერთი უმშვენიერესი არტეფაქტია, რომელშიც თავმოყრილია ეპოქის ყველა ის ტექნოლოგიური და ესთეტიკური მიღწევა, რომელიც საჭირო იყო ამ ნივთის დასამზადებლად - განვითარებული სამთო და დნობის მეტალურგია, შენადნობების ცოდნით ესთეტიკური გამომსახველობის მიღწევა.

1 განსაზღვრება - ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაო'' ბ. კუფტინის ტერმინია (Куфтин, 1944: 314, სურ. 12), რომელსაც ჩვენც ვიზიარებდით (Панцхава, და სხვ. 2003), შდრ.: Сулава, Н. 2022.

2 ამ აბზინდების სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსაზღვრა, როგორც ნახევაროვალური, არ შეესაბამება გეომეტრიულ ფორმას; ჩვენის აზრით, სწორია - ,,ნახევარწრიული აბზინდები'' (რადგან ისინი ფორმით წრის ნახევარს წარმოადგენენ). ამ აბზინდებს **D**–ს ფორმის აბზინდებსაც უწოდებენ (Motzenbäcker, 1996: 107).

ამ არტეფაქტის კვლევა არქეოლოგიური ატლასის მეთოდის გამოყენებით (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი, არეალი[3], რაც პირველად ხორციელდება, ვფიქრობთ, ფუნდამენტურ წარმოდგენას შეგვიქმნის ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს'' ნახევარწრიული აბზინდების ტიპოლოგიის, ქრონოლოგიის, გენეზისისა და არეალური დისტრიბუციის შესახებ, შექმნის საფუძველს კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ზოგიერთი საკამათო საკითხის დასაზუსტებლად - როგორიცაა ქრონოლოგიის საკითხები და ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურისადმი კუთვნილება.

ტიპოლოგია

რადგან ანალოგიური აბზინდები ჩრდ. კავკასიის ძეგლებიდან არქეოლოგიურ კომპლექსებში არ არის ცნობილი, განსხვავებით საქართველოსაგან, ამიტომ ნახევარწრიული აბზინდების ტიპოლოგიური კვლევა მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ძეგლებით დავიწყოთ.

საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილია ბრინჯაოს ნახევაწრიული აბზინდების 18 ეგზემპლარი, წარმოდგენილი როგორც კომპლექსებში, ასევე შემთხვევითი აღმოჩენების სახით.

ნახევარწრიული აბზინდების სასურათო სიბრტყე სხვადასხვა ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხებით - კვეთა, გრავირება, ინკრუსტაცია, სხვადასხვაგვარადაა შემკული - სამთავა ჩახვეული სპირალი თრისკელე (Triskele), სამრიგად განლაგებული გადაბმული სპირალები, მეანდრული ბადე, კლაკნილი ან სამკუთხედისებური ორნამენტი, ფრინველებისა და გველების სქემატური გამოსახულება წარმოდგენილი რამდენიმე რიგად, სხვადასხვა ფორმის დაფანჯრული სახეები და სხვ.

კონსტრუქციულ-მორფოლოგიურად ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

I ჯგუფი - ნახევარწრიული ფორმის ფირფიტა, რომელსაც უკანა მხრიდან მომრგვალებულ კიდეზე აქვს კაუჭი, ხოლო სწორ კიდეზე - სამი მარყუჟი;

II ჯგუფი - ნახევარწრიული ფორმის (ზოგჯერ წაგრძელებული) ფირფიტა, რომელსაც უკანა მხრიდან მომრგვალებულ კიდეზე აქვს კაუჭი, ხოლო სწორ კიდეზე – ნახვრეტები.

I ჯგუფის არტეფაქტების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემკულობის სახის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

A ტიპი – სასურათე სიბრტყის ცენტრი შემკულია სამი ერთმანეთზე გადაბმული (ინკრუსტირებული?) სპირალით (თრისკელე), ხოლო აბზინდების კიდეები ირგვლივ შემკულია ოთხრიგად განლაგებული სოლისებური თუ სამკუთხედისებური გრავირებული ნაჭდევებით, რომლებიც ინკრუსტირებულია.

ამგვარი აბზინდები აღმოჩენილია მეღვრეკისში და სამთავროს სამაროვანზე. აბზინდები მთლიანადსხმულია, დამზადებულია ცვილის მოდელის

3 ნაშრომი თავისი მოცულობით, იმ თემების გათვალისწინებით, რაც ამ ფორმატში ვერ ჩაეტეოდა, გაცილებით დიდია.

დაკარგვის წესით; ქიმიური ტიპია – ტყვიიანი ბრინჯაო (Иессен, 1935: 189. ჩუბინიშვილი, 1957: 30, 90); შემკულობა (სპირალებისა და სამკუთხედების გამოსახულებები) შესრულებულია ღრმა გრავირებით; სოლისებური ფორმის ამოღარული ნაჭდევები შევსებულია თეთრი მინით, ანუ, ტყვიანარევი მუქი ბრინჯაო ინკრუსტირებულია თეთრი მინით (სულავა, კალანდაძე, 2005. Sulava, Kalandadze, 2008).

კატ. N 1[4]. მეღვრეკისი (გორის რ-ნი). სამარხეული ინვენტარი შეგროვილია სახლის ფუნდამენტის მშენებლობისას (კოლ. ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. N 19-39). ინვენტარი: კერამიკა (8 მთლიანი ჭურჭელი, რომელთაგან 2 ღრმა ჯამია, ცალყურა დოქები და კათხები სახელურზე შვერილებით[5]), ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა, ქედიანი სატევარი - „типично колхидско-кобанского типа" (Куфтин, 1949: 30, ტაბ. XII/4), ნახევარსფერულთავიანი ქინძისთავები, სპირალურთავებიანი დედალი დუგმა), მძივი (Куфтин, 1949: 30, 31, ტაბ. XII, XIII).

კატ. N 2. სამთავროს სამაროვანი (მცხეთის რ-ნი). სამარხი N 174 (1940 წლის გათხრები, S უბანი). ორმოსამარხი, მამაკაცისა; მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. ინვენტარი: კერამიკა (სადღვებელი ქილა, დერგი, ქოთანი, თეფში-ჯამი, ქოთნის ფრები), ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (4×4,9 სმ, სისქე – 0,25 სმ), ფოთლისებური სატევარი, ქუსლამოღებული ფირფიტისებური სამკუთხა ისრისპირები), ირმის რქის კვერთხისთავი. კოლექცია ინახება სემ-ში (კოლ. 12-54, აბზინდა - N 11531). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. XV-X სს-ით (კალანდაძე, 1980: 38, 131-132, სურ. 637], გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით ან ძვ.წ. XIV-XIII სს-ით (აბრამიშვილი, 1961: 312, 314-316; აგრეთვე იხ.: აბრამიშვილი, 1997: ტაბ. III/43 – ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახ. – XIV ს).

კატ. N 3. სამთავროს სამაროვანი (მცხეთის რ-ნი). სამარხი N 261 (1946 წლის გათხრები, N უბანი). ორმოსამარხი, მამაკაცისა; მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე. ინვენტარი: კერამიკა (სადღვებელი ქილა, ქოთანი, ღრმა თეფში-ჯამი), ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (6,1×4,8 სმ, სისქე – 0,30 სმ), ფოთლისებური სატევარი, ქუსლამოღებული ფირფიტისებური სამკუთხა ისრისპირები, საკინძი ლურსმნისებური თავით), ირმის რქის კვერთხისთავი. კოლექცია ინახება სემ-ში (კოლ. 12-54, აბზინდა - N 6572). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. XV-XIV სს-ით (ჩუბინიშვილი, 1957: 23, 24, ტაბ. XVII), ძვ.წ. XII-XI სს-ით (კალანდაძე, 1980: 137, 145-148, სურ. 714), გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით ან ძვ.წ. XIV-XIII სს-ით (აბრამიშვილი, 1961: 312, 314-316; აგრეთვე იხ.: Abramishvili, 1997: ტაბ. III/43 – ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახ. – XIV ს) და ძვ.წ. XIV ს-ით (Пицхелаури, 1969: 175, ტაბ. II).

---

4 ტექსტშივე ჩართული საკატალოგო ნაწილი ნივთზე სრულ ინფორმაციას გვაძლევს.

5 როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, მეღვრეკისის სამარხის კერამიკულ ასორტიმენტში ჩანს კოლხური კერამიკის ტრადიციები, რომელიც ავსებს იმ დანაკლისს, რაც კოლხურ-ყობანურ ინვენტარში ჯერ-ჯერობით კერამიკის ნაკლებობით ხასიათდება (Куфтин, 1949: 30, 31).

ამ თავისებურებით, შემკობის ამ ხერხით (გრავირება, ფერადი მინით ინკრუსტაცია), ნახევარწრიული აბზინდები განსხვავდებიან სხვა აღმოსავლურქართულ თანადროულ კულტურათა ბრინჯაოს არტეფაქტებისაგან და უცილობლად ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს'' შემადგენლობაში შედიან, რასაც ტ. ჩუბინაშვილიც აღნიშნავდა (ჩუბინიშვილი, 1957: 23, 24).

A ტიპის აბზინდების ანალოგიური მასალა ცნობილია: ერმიტაჟის კოლექციებიდან (ყობანის სამაროვნის მასალები) ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული (Доманский, 1984: 37, 57, ტაბ. X); ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმის კოლექციებიდან (Chantre, 1886: ტაბ. XI/4; Уварова: 1900, ტაბ. XL/12); ზაიუკოვი I სამაროვნიდან (ვ. დოლბეჟევის გათხრები, 1888), დათარიღებული სამთავროს სამაროვნის მასალაზე დაყრდნობით ძვ.წ. XIII ს-ის მეორე ნახ. და XII ს-ის პირველი ნახ. (Козенкова, 1998: 59, ტაბ. XIX/7); ზემო რუთხა, სამარხი N 11-დან (ე. კრუპნოვის გათხრები), დათარიღებული ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით (Крупнов, 1960: 218, 223, 224, 236, ტაბ. XL I/19; შდრ.: Козенкова, 1996: 116, სურ. 44/1); შემთხვევითი აღმოჩენა ზემო რუთხადან (Крупнов, 1960: 240, ტაბ. XLVII I/8); ზემო ყობანიდან (? – ნ. ს.) (Козенкова, 1996: სურ. 44/2); ზემო რუთხადან, კოსნიერსკას კოლექცია (Motzenbäcker, 1996: 107, ტაბ. 29/11). განსხვავებით ზოგადი დამოკიდებულებისაგან კავკასიის არქეოლოგიური კულტურების კუთვნილების მიმართ, ამ შემთხვევაში ვ. კოზენკოვა სამართლიანად აღნიშნავს, რომ «Ни одна из пряжек на Северном Кавказе не происходит из бесспорного комплекса (Верхняя Рутха, Кобань, Заюково), но все они находились в окружении бронз классического кобанского типа, датированного не ранее самого конца II тысячелетия до н.э.» (Козенкова, 1996: 116). აქ, ჩვენის მხრიდან, გვინდა ავღნიშნოთ, რომ იმ მასალის იგნორირებით, რომელიც აღმოჩენილი და დაგროვილია სამხრეთ კავკასიაში, აგრეთვე, ახალი მონაცემებისა და კოლხურ-ყობანური ქრონოლოგიის შესახებ მთელი რიგი ნაშრომების გაუთვალისწინებლობით, ვფიქრობთ, შეუძლებელია რეალური არქეოლოგიური სურათის წარმოდგენა.

B ტიპი - სასურათე სიბრტყე შემკულია სამ რიგად განლაგებული ერთმანეთზე გადაბმული (ე.წ. მორბენალი) სპირალებით, ხოლო კიდეები შემკულია ორრიგა გრავირებული სოლისებური ნაჭდევებით, რომლებიც ინკრუსტირებულია.

აბზინდა აღმოჩენილია ქორეთში

კატ. N 4. ქორეთი (საჩხერის რ-ნი). სამარხეული ინვენტარი; აღმოჩნდა 1957 წელს, შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ინახება სოფ. ქორეთის საშუალო სკოლში (?). სამარხი სავარაუდოთ ქვაყრილიანი იყო, ჩონჩხი კი ერთზე მეტი. კოლექციაში შედის: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა, ტარშეურჩენელი ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, სატარეყუნწიანი ფოთლისებური სატევარი, გრეხილღეროიანი თავხვია საკინძი, სასაფეთქლე ხვია, სამაჯური), სარდიონის მრგვალ-ბრტყელი მძივები. დათარიღებულია ძვ.წ. XIV-XIII სს-ით (ქორიძე, 1961: 14, ტაბ. II/9).

ქორეთის აბზინდა მეღვრეკისისა და სამთავროს ნახევარწრიული აბზინდების ანალოგიური სოლისებური ინკრუსტირებული ნაჭდევებითაა შემკული. Mმისი ზუსტი ანალოგია ვერ მოვიძიეთ; თუმცა კოსნიერსკას კოლექციაში (ფასკაუ ან კუმბულთა) დაცულ აბზინდას, რომელსაც მომრგვალებულ მხარეს, კავის ზემოთ, ზოომორფული მცირე გამოსახულება აქვს დარჩილული (ვერძის თავი ?), ქორეთის აბზინდის მსგავსად სასურათე სიბრტყე შემკული აქვს სამრიგად განლაგებული პლასტიური (რელიეფური ?) სპირალებით - დათარიღებულია გვიანბრინჯაოს ხანით (Motzenbäcker, 1996: 107, ტაბ. 36/4). შემკულობის (მორბენალი სპირალების რიგები) მიხედვით ქორეთის და კოსნიერსკას კოლექციის აბზინდების ანალოგიურია: საქამრე ბალთები (როგორც მართკუთხა, ასევე ნახევარწრიული) ყორღანიდან არჟანი 2 (სამარხი N 5), რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით (Čugunov, Parzinger, Nagler, 2010: 191, ტაბ. 30/4, 31/1, 2); და, ბრინჯაოს ოვალური აბზინდის სასურათე სიბრტყის შემკულობა (მორბენალი სპირალები ოთხ რიგად) ბოლონიის მუზეუმიდან, რომელსაც ბენაჩი II პერიოდს (ძვ.წ. 750-630 წწ.) მიაკუთვნებენ (Монгайт, 1974: 144б 145)[6].

C ტიპი - სასურათე სიბრტყე შემკულია გრავირებით ან ინკრუსტაციით შესრულებული (?) ბადით. A

სავარაუდოდ, **C ტიპს** უნდა მიეკუთვნებოდეს თლიის სამაროვნიდან ნახევარწრიული აბზინდა, რომელსაც კიდეები **A** და **B** ჯგუფის აბზინდებისB ანალოგიურად უნდა ქონდეს შემკული. უკანა მხრიდან, სწორ კიდეზე სარტყელზე დასამაგრებელი მარყუჟები, ხოლო მომრგვალებულ კიდეზე კავი აქვს.

კატ. N 5. თლიის სამაროვანი (ჯავის რ-ნი). სამარხი N 303. ორმოსამარხი, ბრტყელი ქვებით გადახურული. მიცვალებული დასვენებული მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით. გადახურვის ჩაწოლის გამო ძვლები არეული იყო. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა[7], რგოლისებური საყურე, თავებგადასული ბეჭედი), რკინა (ბურცობებიანი სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭედი), 34 ცალი თვალიანი მძივი. სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახ. – VI ს-ით (Техов, 1985: 47,48, ტაბ. 191).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამარხში აღმოჩენილი (თუ სამარხი ნამდვილად დახურული კომპლექსია - ნ.ს.) ბურცობებიანი რკინის სამაჯურების გავრცელების ძირითად პერიოდად ადრეელინისტური ხანა ითვლებოდა (დავლიანიძე 1983: 69). დადგენილია ბურცობებიანი რკინის სამაჯურების დამათარიღებელი მნიშვნელობა - ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებისა და მისი მეორე ნახევრის კომპლექსებისათვის, რომლებისთვისაც დამახასიათებელია - წახნაგოვანღეროიანი ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტილი სასა-

6 ჰ. მიულერ-კარპეს მიხედვით ბენაჩი II (ბოლონია II) პერიოდი ძვ.წ. IX-VIII ს-ით თარიღდება (Müller-Karpe, 1959).

7 თლიას N 303 ორმოსამარხის აბზინდის სასურათე სიბრტყე პუბლიკაციაში გაურკვევლადაა გადმოცემული, არ არის ნივთის ჭრილიც მოცემული, ხოლო ტექსტში აღწერილობა არ არის.

ფეთქლე რგოლები, კოლხური ტრიობოლები, მსხლისებური ფორმის დოქები, მოხრილი დანები, მსხლისებური ფორმის გაუმჭვირვალე მინის მძივები (გოგიბერიძე, 1984: 140; სულავა 1996: 61). N 303 სამარხში აღმოჩენილი რკინის ფარაკიანი ბეჭდის (სავარაუდოდ, კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებული ჭრილაფარაკიანი ბეჭედის ტიპი) თარიღიც - ძვ.წ. V-III სს-იც ამაგრებს ამ თარიღს (ლორთქიფანიძე მარგ. 1975. სულავა 1996: 17). სავარაუდოდ, ამ სამარხთან დაკავშირებით რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, **I ჯგუფის** აბზინდების სასურათე სიბრტყის შემკულობა სპირალები და ინკრუსტირებული სოლისებური თუ სამკუთხედისებური გრავირებული ნაჭდევებია. ა. იესენის მიხედვით, ამოჭრილი ან გრავირებული ორნამენტი უკვე ჩამოსხმულ საგანზე და ფერადი მასით ინკრუსტაცია (ძვლით, რკინით, ხით, მინანქრით) დამახასიათებელია ძვ. წ. II ათასწ. ბოლოსა და I ათასწ. დასაწყისის კავკასიაში აღმოჩენილი ნივთებისათვის (Иессен, 1935: 188, 189). ა. იესენის, და აგრეთვე, მ. ტენიშევას ამ დასკვნის შესაბამისი არტეფაქტები კოლხურ-ყობანურ არეალში მოპოვებული დიდი ზომის მართკუთხა აბზინდები იყო (Тенишева, 1930. დაწვრ. იხ.: სულავა, კალანდაძე 2004. Sulava, Kalandadze, 2008).

II ჯგუფის არტეფაქტების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემკულობის სახის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

D ტიპი - სასურათე სიბრტყე შემკულია გრავირებით თუ ინკრუსტაციით შესრულებული მეანდრული ბადით.

კატ. N6. ნაცარგორა-წაღვლი (ხაშურის რ-ნი). შემთხვევითი მონაპოვარი (კომპლექსი ?). ნახევარწრიული აბზინდის სასურათო მხარეს მთელი პერიმეტრი კიდეების გასწვრივ შემკულია ირიბნაჭდევებიანი წვრილი ლენტით. მინდორი დაფარულია მეანდრული ბადით. აბზინდას სწორ კიდეზე 12 ნახვრეტი, ხოლო უკანა მხრიდან მომრგვალებულ კიდეზე კავი აქვს. აბზინდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული (Ramischwili, 2002: 366, კატ. N 284).

შემკულობის ტიპი - ,,მეანდრული ლაბირინთი'', როგორც აღვნიშნეთ, შესრულებული გრავირებით ან ინკრუსტაციით, კარგადაა ცნობილი ,,კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს'' მიხედვით (კოლხური ცულები, აბზინდები).

E ტიპი – სასურათე სიბრტყეზე გამოსახულია სამი ერთ რიგში მიმავალი ფრინველი.

აღმოჩენილია წითელი შუქურას (აფხაზეთი) სამაროვანზე.

კატ. N 7. *წითელი შუქურა (სოხუმის რ-ნი). სამარხი N 44 (63). ოვალური ორმოსამარხი, დამხრობილი SO – NW. სამარხის იატაკი მოკირწყლულია კენჭებით. ჩონჩხი შემორჩენილი არ არის. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (ზომები – 7,5×10,5 სმ, სისქე – 0,2 სმ), რგოლის ფორმის მძივები, სადგისი); 9 ცალი სარდიონის მრგვალი მძივი; 2 ცალი სფერული ფორმის ნაცრისფერი თიხის საგანი; კერამიკული საკიდი სამი ბოლოთი, რომელთაც პირგაღებული ცხოველის სახე აქვთ*

და ინკრუსტირებულია ღია ფერის პასტით[8] *(ანუ მინით – ნ.ს.). სამარხი დათარიღებულია - ძვ.წ. VIII-VI სს-ით (Трапш, 1969: 118, ტაბ. XXVI/12); ან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით (Квирквелия, 1981: 6).*

მ. ტრაპშის აღწერით, აბზინდას კიდეებზე აქვს გრავირებული ორნამენტი ირიბი ნაჭდევების სახით, ხოლო სასურათე სიბრტყის ცენტრში გამოსახულია ინკრუსტირებული სამი ერთ რიგში მიმავალი ფრინველი, რომელიც, თავიდან მის მიერვე განსაზღვრულია - «металлической темновато-серого цвета инкрустацией»; გამოსახულება ლენტისებური ფორმის ასევე ინკრუსტირებული ჩარჩოთია შემოსაზღვრული. გამოსახულებებს უკანა მხრიდან მოქლონვის კვალი ეტყობა. მ. ტრაპში ინკრუსტაციის მასალად რკინას მიიჩნევს (Трапш, 1969: 118, 200). ანალოგიური აბზინდები ჩვენთვის უცნობია.

F ტიპი - სასურათე სიბრტყეზე გამოსახულია დაკლაკნილი სტილიზებული გველები თუ სამკუთხედები.

ამ სახის აბზინდები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე: წითელი შუქურას სამაროვანი, სამარხი NN 42(60), 98(144), ეშერის ნაქალაქარი, ვერეჩაგინის ბორცვი.

კატ. N 8. *წითელი შუქურა (სოხუმის რ-ნი). სამარხი N 42(60). ოვალური ორმოსამარხი, დამხრობილი SO – NW. სამარხის იატაკი კენჭებით მოკირწყლული. ჩონჩხი შემორჩენილი არ არის. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (ზომები – 5,5×8 სმ, სისქე – 2,5 სმ), ქედიანი შუბისპირი სამკუთხა ფორმის პირით და გახსნილი მასრით, 2 ცალი სასაფეთქლე ხვია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, 1 ცალი თხელი ბრინჯაოს ფირფიტის მძივი), 11 ცალი სარდიონის მძივი. დათარიღებულია - ძვ.წ. VIII-VI სს-ით (Трапш, 1969: 115, 116, ტაბ. XXVI/13).*

კატ. N 9*. წითელი შუქურა (სოხუმის რ-ნი). სამარხი N 98(144). O ოვალური ორმოსამარხი, დამხრობილი SO – NW. სამარხის იატაკი მოკირწყლულია კენჭებით. ჩონჩხი შემორჩენილი არ არის. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა), კერამიკული 3 მომრგვალებული მძივი; სარდიონის 1 ცალი მომრგვალებული მძივი. დათარიღებულია - ძვ.წ. VIII-VI სს-ით (Трапш, 1969: 134, ტაბ. XXVI/10); ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით (Квирквелия, 1981: 6).*

კატ. N 10. *ეშერის ნაქალაქარი (სოხუმის რ-ნი). აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნაქალაქარზე N 4 კოშკის გათხრისას ლითონის ნივთების კომპლექსთან ერთად (ნახევარწრიული აბზინდა, მთლიანადსხმული სატევარი, ლენტისებური ნივთი, პინცეტი, სპირალური საკიდი). დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ით (Шамба, 1984: 48, სურ. 26/4).*

კატ. N 11. *ვერეშჩაგინის ბორცვი (სოხუმის რ-ნი). ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ აღმოჩენილი ნივთების კოლექცია: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა, შუბისპირი, სატევარი, ყუამახვილი ცული, ფიბულა, საკისრე რკალი, მასიური სამაჯურები (6 ცალი), ქინძისთავი, საკიდი სპირალისებური), სარდიონის მძივი. დათარიღებულია ძვ.წ. IX-VII სს-ით (Шамба, 1984: 51, სურ. 11/2).*

8 ინკრუსტაციის მასალის განსაზღვრის დროს, ეხლაც და შემდეგაც, ვეყრდნობით მ. ტრაპშის მონაცემს.

ანალოგიური აბზინდები ცნობილია კუმბულთადან (Уварова, 1900: ტაბ. XXV/5) და ყობანის სამაროვნიდან (Chantre, 1886: ტაბ. XI1/2).

ამ სახის აბზინდა ცნობილია კუმბულთადანაც (Chantre 1886, pl. XII,2).

G ტიპი - სასურათე სიბრტყეზე ან რამდენიმე რიგად განლაგებული ამოჭრილი სამკუთხედებია, ან რამდენიმე რიგად განლაგებული წვეროებით ერთმანეთზე მიბჯენილი სამკუთხედების რიგი.

G ტიპის აბზინდები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე: წითელი შუქურას სამაროვანი, სამარხი NN 70(107) და 75(112), **ყობანი - სამარხი** N 9[9]. ეს უკანასკნელი გამოუქვეყნებელი იყო და გ. ბედიანაშვილმა გამოაქვეყნა; მისივე აღწერით, სასურათო სიბრტყეზე ამოჭრილია სამკუთხედები (ინ-კრუსტირებული ? - ნ.ს.), რომლებიც ირიბი ხაზებით არის ჩასმული ჩარჩოში; დანარჩენი სივრცე ამოტვიფრული წერტილებითაა შევსებული; ფუძის გასწვრივ 15 ნახვრეტია; მომრგვალებულ მხარეს კაუჭია (Bedianashvili 2010: 281).

***კატ. N12**. წითელი შუქურა (სოხუმის რ-ნი). სამარხი N70 (107). Oმრგვალი ფორმის ორმოსამარხი, სამარხის იატაკი მოკირწყლულია კენჭებით. ჩონჩხი შემორჩენილი არ არის. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდის ფრაგმენტი). დათარიღებულია - ძვ.წ. VIII-VI სს-ით (Трапш, 1969: 133, ტაბ. XXVI/5, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით (Квирквелия, 1981: 6).*

***კატ. N13**. წითელი შუქურა (სოხუმის რ-ნი). სამარხი N 75 (112). მრგვალი ფორმის ორმოსამარხი, სამარხის იატაკი მოკირწყლულია კენჭებით. ჩონჩხი შემორჩენილი არ არის. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (ზომები 7×10 სმ, სისქე – 0, 2 სმ), სასაფეთქლე ხვია). დათარიღებულია - ძვ.წ. VIII-VI სს-ით (Трапш, 1969: 134, ტაბ. XXVI/11), ან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით (Квирквелия, 1981: 6).*

ამათგან პირველი აბზინდა ინკრუსტირებული ყოფილა მუქი ფერის ლითონით, ხოლო მეორე - ,,ცისფერი პასტით'' (Трапш, 1969: 133, 134, 200, 201).

H ტიპი - სასურათე სიბრტყე დაფანჯრულია წრიულად განლაგებული ამოჭრილი სამკუთხედებით. მის სწორ კიდეზე განლაგებულია სამი წყვილი ლურსმნისებური შვერილი, მომრგვალებულ მხარეს კავი აქვს.

კატ. N 14.** პშაპ-ბოგოპოშტას განძი (გულრიფშის რ-ნი). აღმოჩნდა 1963 წელს სოფლების პშაპ და ბოგოპოშტას საზღვარზე. 52 ბრინჯაოს ნივთი მოთავსებული იყო თიხის ჭურჭელში. განძის ინვენტარი: კერამიკა (ჭურჭელი, რომელშიც ბრინჯაოს ნივთები ელაგა, კარგად გაპრიალებული, გარედან წითელი და შიგნიდან მოშავო-ყავისფერი, კეცი – წითელ-შავი), ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა (Воронов, 1969: ტაბ. XXXIX/26) (კატ. 14/H - ნ.ს.), სეგმენტისებური იარაღი 9 ცალი, ,,ვოტივური'' სეგმენტი 1 ცალი, სეგმენტისებური იარაღის 10 ფრაგმენტი, 30-მდე ზოდის ფრაგმენტი, კოლხური ცული სოლისებური ყუით, კოლხური ცულის პირის ფრ-ი, შუბისპირის მასრის ფრ-ი; განძში ნახევარწრიული - **H (14),** აბზინდის გარდა 3 სხვა ტიპის აბზინდაცაა (Воронов, 1969: ტაბ. XXXIX/20 - **(I (15) -

9 ე. შანტრისა და კ. ოლშევსკის მიხედვით ვ. კოზენკოვას მიერ გამოქვეყნებულ ყობანის N 9 კომპლექსში (კოზენკოვა 1996: 18, სურ. 3) სხვა აბზინდაა (იხ.: Chantre 1886: pl. XII,2. MAK, VIII: XXV/5).

ნ.ს.); ტაბ. XXXIX/23; ტაბ. XXXIX/25). ავტორს კონკრეტული თარიღი არა აქვს მოცემული, მაგრამ ათავსებს ზოგადად ბრინჯაოს ხანაში (Воронов, 1969: 36).

I ტიპი - ფორმა ნახევარწრიული ან თავმომრგვალებული სამკუთხედი. სასურათე სიბრტყე შუა ნაწილში გატიხრულ ღიობს წარმოადგენს; შემკულია გრეხილი ორნამენტით, ფუძის მხარეს სამი ორთავა ვერძის ფიგურაა. უკანა მხრიდან კავი აქვს.

I. a. ტიპი - პშაპ-ბოგოპოშტას განძი (იხ.: ზემოთ):

კატ. N 15. აბზინდა ,,სამკუთხა ფორმის'' (Воронов, 1969: 36 - აღწერილობით, ნახევარწრიულთან მიახლოვებული, მომრგვალებული და ოდნავ წაწვეტებული), ფირფიტისებური, შუაგულში ორი სამკუთხა ამონაჭერი აქვს, შემკულია გრეხილი ორნამენტით, ფუძის მხარეს სამი ორთავა ვერძის ფიგურაა. უკანა მხრიდან კავი აქვს (ზომები – 7,2×5,8 სმ, სისქე – 0,4 სმ, სიმაღლე – 2,5 სმ; Воронов, 1969: ტაბ. XXXIX/20).

კატ. N 16. *სოფ. ააცი (გულრიფშის რ-ნი). მომრგვალებულთავიანი სამკუთხედის ფორმის. წვერზე მირჩილული აქვს ვერძის თავი, რომლის ქვეშაც კავია, ხოლო ფუძეზე 4 ნახვრეტი აქვს (Воронов, 1969: ტაბ. XXXIX/22).*

I. b. ტიპი - სასურათე სიბრტყე შუა ნაწილში გატიხრულ ღიობს წარმოადგენს; ღიობიც და აბზინდის კიდეებიც შემკულია წნული რელიეფური ორნამენტით, ხოლო მომრგვალებულ მხარეს ცხოველის სქემატური ფიგურა აქვს დარჩილული. სწორ კიდეზე ოთხი ნახვრეტი აქვს ქამარზე დასამაგრებლად. ნივთი ისეა ჩახატული, რომ არა აქვს ჭრილი; სავარაუდოდ ფიგურის ქვეშ კავი უნდა ქონდეს.

კატ. N 17 - თლია-სტირფაზი. თლიის სამაროვანსა და სტირფაზში გამოვლენილ ძეგლებზე ნივთის შესახებ ინფორმაცია მოკლე ანგარიშშია წარმოდგენილი; დათარიღებულია ძვ. წ. X—VI სს-ით (Техов, Гаглоев 1974: 438, სურ. 4).

I ტიპის აბზინდები ცნობილია ყობანის, ზემო რუთხას, ფასკაუს და კუმბულთას მასალებიდანაც (Chantre 1886: XII; Уварова, 1900: ტაბ. LXXXIX 1,2. Motzenbäcker 1996: 107-109, tab. 29/12, 36/5,6).

J ტიპი - სასურათო სიბრტყე შემკულია სამრიგად განლაგებული რელიეფური სპირალებით. მომრგვალებული მხარის ცენტრში ვერძის თავის ფიგურაა დარჩილული. სწორ მხარეს 4 ნახვრეტი აქვს, ხოლო უკანა მხარეს კავი აქვს.

J ტიპის აბზინდა ცნობილია ყობანის სამაროვნიდან (Chantre, 1886: ტაბ. XII). ამავე ტიპისაა ზემო რუთხაში, ფასკაუსა ან კუმბულთაში აღმოჩენილი აბზინდები, რომელთა მომრგვალებული კიდეების ზედაპირი რელიეფური წნულებით, ზოლებით ან გრეხილით არის შემკული; ხოლო მომრგვალებულ მხარეს, კავის ზემოთ, ერთი ან წყვილი ზოომორფული მცირე გამოსახულება აქვს დარჩილული (ვერძის თავი ?) (Motzenbäcker 1996: 107, ტაბ. 29/12, 63/8,9, 36/5,6).

K ტიპი – სასურათე სიბრტყე შემკულია ორრიგად ან სამრიგად განლაგებული, ლენტისებური სამკუთხედებით შექმნილი ღიობებით. Рერთ შემთხვევაში აბზინდების კიდეები ირგვლივ შემკულია ოთხრიგად განლაგებული სოლისებური თუ სამკუთხედისებური გრავირებული ნაჭდევებით,

I ჯგუფის (A (1, 2, 3), B (4), C (5)) აბზინდების მსგავსად, რომლებიც, სავარაუდოდ, აგრეთვე ინკრუსტირებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში მცირე ზომის ლენტისებური სამკუთხედების ზოლით. სწორ მხარეს 3 ლურსმნისებური შვერილი აქვს.

კატ. N 18. თლიის სამაროვანი (ჯავის რ-ნი). სამარხი N 378. ბრტყელი ქვებით გარშემოწყობილი და გადახურული ორმოსამარხი; მიცვალებული მამაკაცი დასვენებული მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოხრილი კიდურებით; იქვე, შეწირული ციკნით. ინვენტარი: ბრინჯაო (ნახევარწრიული აბზინდა, ორყურა ვედრო, ფიბულა, ჯაჭვის რგოლი, რაღაც ღერაკი), რკინა (აკინაკი ხის ქარქაშითა და ძვლის ბუნიკით, ცული), ქვის სალესი, სარდიონის 3 ბრტყელი და 2 მცირე ზომის მძივი. სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VI ს-ით (Техов, 2002: 29, 30, ტაბ. 54/5). აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ სამარხის მიცვალებულის გამო სამარხში ადრე დაკრძალული 3 მიცვალებულის ნაშთები მიუხვეტიათ სამარხის ჩრდ.-აღმ. კედლისაკენ (სამარხი დანომრილია, როგორც N 378° - ამ ნომრით არის ცალკე ტაბულა, მაგრამ ტექსტში ინფორმაცია იმ სამ მიცვალებულზე გამოყოფილი არ არის – იხ.: Техов, 2002: 29, 30, ტაბ. 54, 55; ინვენტარი: ბრინჯაო – 3 ჯამი, 3 ფიბულა, 3 ცული, ზოომორფულყურიანი სიტულა (ტაბულაზე არ არის – ნ.ს.), აბზინდა, სარტყელი; რკინა – სატევარი, აქატის მძივები (28 ცალი); სამარხის თარიღი მითითებული არ არის (Техов, 2002: 29, 30, 226, ტაბ. 54, 55).

მსგავსი აბზინდები ცნობილია ყობანის სამაროვნიდან, ერთ შემთხვევაში სასურათე სიბრტყეზე ლენტისებური სამკუთხედების სამი სარტყელია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ორი სარტყელი (Chantre, 1886: ტაბ. XIbis, XIII/bis/1). მხოლოდ ერთი ირგვლივი სარტყელითაა შემკული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყობანის კოლექციის აბზინდა (Bedianasvili, 2010: 292, fig. 7/7). ანალოგიურად შემკული აბზინდა, სოლისებური თუ სამკუთხედისებური გრავირებული ნაჭდევებით, ოღონდ წრიული მოყვანილობისა, აღმოჩენილია სამთავროს N 44 (1938 წ. გათხრ. S უბანი) სამარხში, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. XI-X სს-ით (აბრამიშვილი, 1957: 134, 135), ან გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით[10] (Пицхелаури, 1969: 175, ტაბ. III), აგრეთვე, ძვ.წ. XII-XI სს-ით [11] (კალანდაძე, 1980: 165-167, სურ. 804).

L ტიპი – სასურათე სიბრტყის შუა ნაწილი ღიობია - სოლისებური თუ სამკუთხედისებურიგრავირებულინაჭდევებითშემკულსამკუთხედზედგას ერთმანეთზე ცხვირმიდებული ორი ,,ფანტასიკური'' ცხოველი. აბზინდების კიდეები ირგვლივ შემკულია ოთხრიგად განლაგებული (სავარაუდოდ, ინკრუსტირებული) სოლისებური გრავირებული ნაჭდევებით. **L** ტიპის აბზინდები ჯერჯერობით (ჯერჯერობით, რადგან ,,ფანტასტიკური ცხო-

10 როგორც კ. ფიცხელაური აღნიშნავს, ამ აბზინდას პარალელები არ გააჩნია, ამიტომ მისი საყრდენად გამოყენება დათარიღებისათვის არ გამოდგება, თუმცა ზოგიერთი დეტალით იგი ახლოსაა სამთავროს N 261 სამარხის აბზინდასთან (Пицхелаури, 1969: 175), რაც ჩვენი აზრით, სწორი დაკვირვებაა.

11 სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ალ. კალანდაძეს მიწერილი აქვს თრიღი – ძვ.წ. XIII-XII სს (კალანდაძე, 1980: 165).

ველების'' გამოსახულებების ტიპოლოგიური განვითარება კოლხეთში დასტურდება - ნ.ს. (სულავა, 2022)) ცნობილია ყობანის სამაროვნიდან (Chantre, 1886: ტაბ. XI/bis, XIII/bis/1) და კუმბულთადან (Уварова, 1900: ტაბ. XCII.5).

M ტიპი - სასურათო სიბრტყეზე ორ რიგად განლაგებული სამკუთხედების რიგია, სავარაუდოდ ინკრუსტირებული უნდა ყოფილიყო, შერჩენილია მონაცრისფრო მასა. ფუძეზე 6 ნახვრეტი აქვს, ინკრუსტაციის დასამაგრებლად პირველ რიგში 4 ნახვრეტი აქვს, ხოლო მეორე რიგში 3 ნახვრეტი.

M ტიპის აბზინდა ცნობილია ყობანიდან (Chantre 1886: pl. XII,2).

N ტიპი – სასურათე სიბრტყის კიდეები და შუა ნაწილი შემკულია დაშტრიხული სამკუთხედებისაგან შედგენილი ლენტით. K

N ტიპის K აბზინდა ცნობილია სოფ. შაროისთან აღმოჩენილი სამარხიდან (Козенкова, 1982: 52, ტაბ. XXX/2). ამგვარი აბზინდები ჩვენთვის უცნობია.

O ტიპი - სასურათე სიბრტყე სადაა. სწორ მხარეს ნახვრეტები აქვს, ხოლო მომრგვალებულ მხარეზე უკანა მხრიდან კავი აქვს.

O ტიპის აბზინდები მხოლოდ ყობანიდანაა ცნობილი (Chantre 1886: pl. XII/1).

ამგვარად, ნახევარწრიული აბზინდების ტიპოლოგიური თვალსაზრისით დალაგების საფუძველზე ორი ჯგუფის 15 ტიპის აბზინდა დადასტურდა; აქედან 18 ცალი სამხრეთ კავკასიაში, ხოლო დაახლოებით 25 ცალი ჩრდილო კავკასიის მასალებში. I A, II G, I, K ტიპის აბზინდები აღმოჩენილია კავკასიონის ორივე მხარეს, I D ტიპის II E, H - სამხრეთ კავკასიიდანაა, II J, L-O ტიპის აბზინდები მხოლოდ ჩრდ. კავკასიის მასალებიდანაა ცნობილი (იხ.: ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა).

მათთვის დამახასიათებელია ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნები: გეომეტრიული ორნამენტი - სოლისებური ნაკვთების რიგები, მორბენალი სპირალები, გადაბმული სვასტიკები, ლენტისებური სამკუთხედები, ჭრილა სამკუთხედები; სხვადასხვა ფიგურები - ,,ფანტასტიკური ცხოველები'', ვერძის თავები, ორპროტომიანი ცხოველები (ვერძი ? - ნ.ს.); წნული რელიეფური ორნამენტი.

როგორც ნახევარწრიული, ასევე მართკუთხა აბზინდების დასამზადებლად გამოყენებული იყო ისეთი შენადნობები – დარიშხანიანი სპილენძი, დარიშხან-ანთიმონიანი სპილენძი, ანთიმონ-დარიშხანიანი სპილენძი, ტყვიიანი ბრინჯაო, რომელიც თავისი შეფერილობით კარგ ფონს შექმნიდა ნივთების ინკრუსტაციით შემკობისას. ეს კარგად ჩანს ე.წ. მართკუთხა აბზინდების მაგალითზე (კალანდაძე, 2006), რომლებიც ინკრუსტირებულია სხვადასხვა ფერის მინით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამსამსპირალიანი ნახევარწრიული აბზინდების სოლისებური (სამკუთხა) ნაკვთებიც, რომელთა რიგებითაც შემკულია ამ აბზინდების კიდეები, ფერადი მინით (თეთრი) იყო ინკრუსტირებული (სულავა, კალანდაძე 2004. სულავა, კალანდაძე 2005. კალანდაძე, 2006. Sulava, Kalandadze 2008). ორივე სახის აბზინდების გაფორმებაში - ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური

ნიშნები, ერთიდაიგივე შენადნობების სახეობები და ინკრუსტაციის სახის გამოყენება, ერთ საკმაოდ ვრცელ არქეოლოგიურ-კულტურულ არეალზე (თუმცა ლოკალური თავისებურებებით) მიუთითებს.

ნაცარგორის აბზინდის სასურათო სიბრტყე, მეანდრისებური ბადის გამოსახულებით, ინკრუსტირებულია ვერცხლით (?) (Ramischwili, 2002: 366, კატ. N 284). ანალოგიურად არის შემკული ინკრუსტაციით მართკუთხა აბზინდის მეანდრისებური ბადე ჩრდ. კავკასიის მასალებიდან (Born 1984). მინით და ლითონით (საინკრუსტაციო ლითონი, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული მუქი ფერისაა) ინკრუსტირებულია წითელი შუქურას სამარხების აბზინდები (Трапш 1969: 134, 146, ტაბ. XXVI10, 11. Трапш 1969: 115, 116, 118, 133, ტაბ. XXVI5, 12, 13).

II ჯგუფის აბზინდების სასურათო სიბრტყის შემკულობის ზოგიერთი სახეობა (ტეხილი ლენტებით შექმნილი სამკუთხედები – ,,დაკლაკნილი გველების იმიტაცია'' (?), სამკუთხედები) მსგავსია ბრილის სამაროვნის ანალოგიურად შემკული ინკრუსტირებული საკიდებისა და შტანდარტების შემკულობისა (სემ კოლ. NN 5-993: 34, 86, 90) (ფანცხავა, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2001: ტაბ. I 3, 4, III 24, 37, 38. სულავა, კალანდაძე 2004. სულავა, კალანდაძე 2005. Sulava, Kalandadze 2008).

კავკასიის სიძველეებიდან ნივთი, რომელიც შემკულია როგორც გადაბმული სპირალების რიგით, ასევე ინკრუსტირებული სამკუთხედებით (ანალოგიური ბრილის კოლ. N 5-993: 86 საკიდის სამკუთხედებისა), შემთხვევითი მონაპოვარის სახით ცნობილია აფხაზეთიდან (სოფ. კოლხიდა, გაგრის რ-ნი). ეს არის რკინის აკინაკი ბრინჯაოს ქარქაშით. ნივთზე გამოყენებული გადაბმული სპირალები და სამკუთხა ჩაღრმავებები შევსებული უნდა ყოფილიყო ფერადი მასით. ნივთი დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი ან VI ს-ის დასაწყისით (Трапш 1970: 193-197, სურ. 20). მ. თრაპშის აზრით, ქარქაშის ორნამენტაცია გვხვდება კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნაწარმზე (Трапш 1970: 195). ანალოგიური აკინაკი რუმინეთის მასალებიდანაც არის ცნობილი (Matei, 1978).

ასეთივე სამკუთხა ნაჭდევებითა (თუ ტეხილი ლენტებით) და თანაც ინკრუსტაციით აქვს შემკული ვადა სატევარს, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სამაროვნის – წეროვანი II, ტერიტორიაზე. სამაროვანი კი ძვ.წ. XIV-XIII სს-ით არის დათარიღებული (Садрадзе 1991: 31, 32, ტაბ. LXXIX2), მაგრამ ვფიქრობთ, სამაროვნის თარიღი ამ სატევარზე არ უნდა გავრცელდეს. წეროვნის სატევრის ანალოგიური სატევარი, ასევე შემთხვევით, აღმოჩენილია თლიას სამაროვანზე (Техов 1977: სურ. 894). წეროვანის სატევრის მსგავსია ინკრუსტირებულსამკუთხედებიანი ვოტივური სატევარი ზემო რუთხას სამაროვნიდან, რომელიც ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება (Крупнов 1960: 177, 235, სურ. 216).

უდის განძისა და ნაცარგორას მართკუთხა აბზინდებზე, მართალია არ არის გამოყენებული ის შემკულობა (სოლისებური სამკუთხედები), რაც ბრილის დასახელებულ ნივთებზე და სამთავროს აბზინდების ანალოგიურ ნივთებზე, მაგრამ მათზე გამოყენებულია - ინკრუსტაცია, სპირალების სხვადასხვა ვარიაციები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მათზე

გამოსახულია ე.წ. ,,ფანტასტიკური ძაღლები''. ასეთივე წყვილი ძაღლია გამოსახული, როგორც აღვნიშნეთ, ყობანისა და კუმბულთას ნახევარწრიულ აბზინდებზე (I L ტიპი), რომლებიც სოლისებური ნაჭდევებითაა შემკული (Chantre, 1886: ტაბ. XII/12. Уварова 1900: ტაბ. XXV5).

მოტანილი პარალელური მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ნახევარწრიული აბზინდები და მართკუთხა დიდი აბზინდები ერთ კულტურულ არეალს განეკუთვნებიან. ისინი ქრონოლოგიური არეალის თვალსაზრისითაც ემთხვევიან ერთმანეთს, რაზეც მოტანილი არაპირდაპირი პარალელები მიგვითითებენ (წითელი შუქურას აბზინდები, სოფ კოლხიდასა და წეროვანის მაგალითები, უდის განძი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დათარიღებისათვის ალ. რამიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაცარგორის კომპლექსები მართკუთხა დიდი აბზინდებით (რამიშვილი 2001).

არეალი

არეალური დისტრიბუციის თვალსაზრისით ნახევარწრიული აბზინდები, რომლებიც გავრცელებულია კავკასიის ქედის ორივე მხარეს და ბ. კუფტინის კვალდაკვალ ჩვენც ,,კოლხურ-ყობანურ'' ბრინჯაოს ნაწარმს ვუწოდებდით, **კოლხური ბრინჯაოს კულტურის კუთვნილებაა**, რომლის ჩამოყალიბების ცენტრი არის იქ, სადაც აღმოჩენილია მისი წამყვანი არტეფაქტების ადრეული ნიმუშები - დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კოლხეთში. ხოლო ტიპური კოლხური არტეფაქტების კომპლექსების აღმოჩენა ჩრდ. კავკასიაში ასახავს კოლხური ტომების მოძრაობას კავკასიონზე არსებული გადასასვლელებით (ლუკიანოვიჩი, 2015). ამ პროცესს თან ახლდა გარკვეული ეთნიკური ინფილტრაციაც, კოლხეთის ეთნოსის დაფუძნება კოლხეთის მიმდებარე რაიონებში - შიდა ქართლი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), ჩრდ. კავკასია, მესხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, აფხაზეთი; გარდა არქეოლოგიური მასალისა, ამ პროცესის არსებობას ადასტურებს ტოპონიმიკური მონაცემებიც; განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოსი ენათმეცნიერის ვ. აბაევის მიერ დადასტურებული ფაქტები - ზანიზმები თანამედროვე ოსურ ენაში (ლორთქიფანიძე, 2001: 187, 189, იხ. აგრეთვე, იქვე დასახელებული ლიტერატურა), რასაც თანამედროვე ოსი მკვლევარებიც ვერ უვლიან გვერდს. ეს მოძრაობა არ არის რაღაც უჩვეულო, რადგან ადამიანთა ჯგუფებს, ადამიანთა მცირე და დიდ მასებს უძველესი დროიდან ახასიათებდათ გადაადგილება საკმაოდ დიდ მანძილზე, რამაც გამოიწვია სხვადასხვა სახის ცოდნის ათვისება და გაცვლა, კულტურის გავრცელება (Сулава, 2022).

ქრონოლოგია

ნახევარწრიული აბზინდების დათარიღებისათვის ორი მეთოდის გამოყენება შეიძლება - ან ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურად შევისწავლოთ სანდო კომპლექსების მიხედვით, რაც ახალი მონაცემების გამოჩენასთან ერთად მაინც ექვემდებარება ცვლილებას ან დავეყრდნოთ საბუნებისმეტყველო ანალიზებს, რომლებიც დღეისათვის მხოლოდ ყობანის ერთი სამარხის (N 9) მიხედვით გვაქვს (Bedianashvili 2010).

საბუნებისმეტყველო ანალიზებით მიღებული დათარიღებამდე ჩრდ. კავკასიაში აღმოჩენილი ნახევარწრიული აბზინდები საქართველოში, დახურულ კომპლექსებში (სამთავრო) აღმოჩენილი ანალოგიური აბ-ზინდების მიხედვით თარიღდებოდა. სამთავროს კომპლექსები და შესაბამისად აბზინდებიც კ. შეფერის ზეგავლენით რ. აბრამიშვილის მიერ დათარიღებული იყო ჯერ ძვ.წ. XIV-XIII სს-ით (აბრამიშვილი, 1961: 312, 314-316), ხოლო შემდეგ ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახ. – XIV ს-ით (აბრმიშვილი, 1997: ტაბ. III/43). ეს კი იწვევდა ჩრდ. კავკასიის მასალების, სადაც ეს აბზინდები ე.წ. ,,არასანდო კომპლექსებიდან'' (ვ. კოზენკოვა) იყო ცნობილი, ხელოვნურ დაძველებას და დასავლეთ საქართველოს ანალოგიურ მასალებთან სინქრონულობის დარღვევას.

თუ კიდევ ერთხელ გავითვალისწინებთ ა. იესენის მიერ ყობანის სამაროვანის ძვ.წ. VIII-VII სს-ით (Иессен, 1953: 103–110), ბ. კუფტინის მიერ ძვ.წ. IX ს-ით დათარიღებას (Куфтин, 1941: 50–64), ყობანის N 9 სამარხის აბსოლუტურ თარიღს (ჩონჩხის რადიონახშირბადული დათარიღება - ძვ.წ. 967–813 წწ. (ლიონი-4369) Bedianashvili, G., Bodet, C. 2010)[12] და სანდო კომპლექსების არტეფაქტების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ სურათს რეტროსპექტულად გადავავლებთ თვალს, მივიღებთ, რომ:

I ჯგუფის აბზინდებიდან ყველაზე ახალგაზრდა თლიას N 303 კომპლექსში აღმოჩენილი აბზინდაა (I C (5)), რომელიც სკვითურ აკინაკთან ერთად არის სამარხში. ასევე სკვითურ აკინაკთან ერთად არის II ჯგუფის თლიას N 378 კომპლექსის აბზინდა (II K (18)). სკვითური მასალების ქრონოლოგიის დაძველების შემთხვევაში ისინიც შესაბამისად დაძველდებიან (ფირცხალავა, 1978. ფირცხალავა, 2001. Медведская, 1992. Kossack, 1983). მასზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს აბზინდა მეღვრეკისის (I A (1)) სამარხეული ინვენტარიდან, კერამიკით, რომელსაც ბ. კუფტინი კოლხურ კერამიკასთან აკავშირებდა და ბრინჯაოს ქედიანი და სატარეყუნწიანი სატევრით (Куфтин 1949: 30, 31, ტაბ. XII, XIII). ანალოგიური სატევრები ცნობილია კოლხეთის სამაროვნების ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებიდან (ერგეტა, ურეკი, ნიგვზიანი, პალური, მუხურჩა, ბამბორა, პრიმორსკოე, თლია) (პაპუაშვილი 1998: 29-32. სულავა 2000: 40). მეღვრეკისის აბზინდის თანადროული ან ოდნავ ადრეული უნდა იყოს ქორეთში (I B (4)) აღმოჩენილი აბზინდა; ეს კოლექცია, რომელიც სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს და ძვ.წ. XIV-XIII სს-ით არის დათარიღებული (ქორიძე 1961: 14), მასრაგახსნილი ფოთლისებური შუბისპირის მიხედვით, რომლის ანალოგიურიც ნაცარგორის (ხაშურის რ-ნი) კარგად დათარიღებული კომპლექსში ძვ.წ. IX-VIII სს-ზე ადრეული არა ჩანს (რამიშვილი 2001: 157, 158, ტაბ. III, VIII), უნდა გაახალგაზრდავდეს.

რაც შეეხება სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ნახევარწრიულ აბზინდებს, რომლებიც ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრითა და XIV ს. თარიღ-

12 აღსანიშნავია, რომ N 9 სამარხის ფიბულა თარიღდება სამარხის რადიონახშირბადული დათარიღების გათვალისწინებით ძვ.წ. X – IX სს-ით, როგორც თვლის გ. ბედიანაშვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი ფიბულების ქრონოლოგიური არეალი ასეთი ,,მოკლეა'', ისინი საკმაოდ დიდხანს აგრძელებენ არსებობას (სულავა 2011).

დება (აბრამიშვილი რ. 1997: ტაბ. III43); როგორც აღვნიშნეთ, მათი არსებობა სამთავროს კომპლექსებში ჯერ კიდევ ტ. ჩუბინიშვილის მიერ დაკავშირებული იყო ჩრდ. კავკასიურ ან დასავლურ-ქართულ წარმომავლობასთან. ამგვარი მოსაზრება ეფუძნებოდა ერთის მხრივ, სამთავროს ტიპიურ ბრინჯაოს ნაწარმთან შედარებით აბზინდების ლითონის განსხვავებულ შემადგენლობას (ტყვიიანი ბრინჯაო), და მეორეს მხრივ, მის მიერვე დასახელებულ პარალელებს ჩრდ. კავკასიის მასალებიდან (ჩუბინიშვილი, 1957: 90).

უკანასკნელი გამოკვლევები ყობანის სამაროვნის ნახევარწრიულ აბზინდებთან დაკავშირებით, რასაც დათარიღებაც ახლავს – ძვ.წ. XI-IX სს (Bedianashvili, Bodet 2010), კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს კვლევას ნახევარწრიული აბზინდების არსებობის არეალის თაობაზე.

თუ ჩვენი კვლევის შედეგები გარკვეულწილად მაინც არის მისაღები, მაშინ სამთავროს ამ კომპლექსებში სამსპირალიანი აბზინდების მოხვედრა უცნაურად გვეჩვენება და მათი გამოყენება საყრდენად ქრონოლოგიის განსაზღვრისას ჯერჯერობით მართებული არ უნდა იყოს.

ამგვარად, ჩვენი აზრით, I ჯგუფის აბზინდები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედს განეკუთვნებიან.

II ჯგუფის აბზინდებიდან ნაცარგორას (წაღვლი) (II D (6)) შემთხვევით მონაპოვარი აბზინდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული (Ramischwili 2002: 366, კატ. N 284), წითელი შუქურას სამაროვნის აბზინდებს (II E (7), F (8,9,10,11), G (12,13)) ძვ.წ. VIII-VI სს-ით ათარიღებენ (Трапш 1969: 115, 116, 118, 133, 134), ეშერის ნაქალაქარის აბზინდებს – ძვ.წ. VIII-VII სს-ით (Шамба 1984: 51, სურ. 112), ვერეშჩაგინის ბორცვის შემთხვევით ნაპოვნი კოლექციის აბზინდას ძვ.წ. IX-VII სს-ით (Шамба 1984: 51), ხოლო პშაპ-ბოგოპოშტას განძის აბზინდას – ზოგადად ბრინჯაოს ხანით (Воронов 1969: 28-30, 32).

ამგვარად, II ჯგუფის აბზინდები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული.

ნახევარწრიულ აბზინდებზე გამოყენებული ორნამენტაცია - სპირალები, ლენტისებური სამკუთხედები ქრონოლოგიურად რამდენიმე საუკუნიან არეალს მოიცავს. სანამ საბუნებისმეტყველო კვლევები არ ჩატარდება და არ შედარდება ე.წ. სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტები (ურარტული, სკვითური, ადრიატიკის; მინის ინკრუსტაცია), ძნელი იქნება გადაჭრით ქრონოლოგიის განსაზღვრა. სამთავროს დასათარიღებლად ეს აბზინდები და შემდეგ ყობანის დასათარიღებლად არ გამოდგება.

გენეზისი

თუ სად არის დამზადებული ნახევარწრიული აბზინდები ძნელი სათქმელია, ჩრდ. კავკასიისაგან განსხვავებით სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი კოლხეთის არეალი, უძველესი სპილენძის მეტალურგიის ცენტრად ითვლება გასული საუკუნიდან მოყოლებული, ბოლო წლების ახალი აღმოჩენების ჩათვლით (სულავა 2025).

ნახევარწრიული აბზინდების და მართკუთხა აბზინდების ანალოგიურადვე დამზადებამ, და აქაც მინის გამოყენებამ ინკრუსტაციისათვის, რაც დადასტურდა

საინკრუსტაციო მასალის მიკროსკოპულად და მიკრორენტგენოსპექტრული რაოდენობრივი ანალიზის საშუალებით შესწავლილი სამთავროს აბზინდების მიხედვით, ნახევარწრიული აბზინდებიც იგივე რიგში მოაქცია. აგრეთვე, საინტერესოა მთიან კოლხეთში, ლეჩხუმში, ცხეთის ნასახლარზე აღმოჩენილი ყალიბი, რომელშიც მეანდრისებური სვასტიკის ფორმის საინკრუსტაციო მასალა (მინა თუ ლითონი ?) ჩამოისხმებოდა, სწორედ ისეთი, როგორიც დამახასიათებელია დიდი ზომის მართკუთხა აბზინდებისათვის. ყალიბის მთიან კოლხეთში აღმოჩენა რეალურს ხდის ამ ნივთების აქ, ადგილობრივ დამზადებას, რეგიონში, რომელიც კოლხური სპილენძის მეტალურგიის წარმოშობის ერთ-ერთ კერად არის მიჩნეული (Сахарова, 1966; სახაროვა, 1976; Sulawa, 2001: 186-187; სულავა, 2003: 31-37. Sulava, 2008: 299-305; Сулава 2022).

კვლევებით დადასტურდა, რომ ნახევარწრიულ აბზინდებზე კვეთისა და გრავირებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი სისალის მქონე იარაღები, ვიდრე თვით ამ არტეფაქტების (მაგ. სამთავროს ნახევარწრიული აბზინდები) შენადნობებია. მსგავსი იარაღები შეიძლება დაემზადებინათ მაღალლეგირებული ბრინჯაოსაგან ან ფოლადისაგან. ბრინჯაოზე გრავირება მხოლოდ ფოლადის იარაღით იყო შესაძლებელი, რაც ევროპაში ძვ. წ. VIII საუკუნიდანაა ცნობილი. კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ნაწარმისათვის დამახასიათებელი გრავირებული ნივთებიც (ე.წ. ,,კოლხური გრაფიკული ხელოვნების'' ნიმუშები - ფანცხავა, 1988) ძვ. წ. IX ს-ის დასასრულიდან ჩანს ფართოდ გავრცელებული. ამ თარიღს ,,ცოტაოდენი'' განსხვავებით ამაგრებს ცხეთის ნასახლარზე აღმოჩენილი ყალიბის თარიღი და კონტექსტი - ძვ.წ. VIII- VII სს (სულავა, კალანდაძე, 2004. Sulava N. 2008. †სახაროვა, სულავა, 2014. Сулава, 2022).

არტეფაქტები (საქართველო)			არტეფაქტები (ჩრდ. კავკასია)	
I ჯგუფი - A (1, 2, 3), B (4), C (5)	არსებული თარიღი	თარიღი	I ჯგუფი - A, B	არსებული თარიღი
I A (1-მეცვიეკისი, 2,3-სამთავრო)	Куфтин, 1949 - „. . . типично колхидско-кобанского типа". Рубинштейн, 1957 - ძვ.წ. XV-XIV სს. აბრამიშვილი, 1961 -ძვ.წ. XIV-XIII სს. კალანდაძე, 1980 - ძვ.წ. XV-X სს. კალანდაძე, 1980 - ძვ.წ. XII-XI სს. Abramishvili, 1997- ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახ. – XIV ს.	ძვ.წ. IX-VII სს.	I A (ყობანი, ზემო რუთხა, ზაიუკოვო)	Доманский, 1984 - ძვ.წ. I ათასწლ. შუა ხანები Козенкова, 1998 - ძვ.წ. XIII ს-ის მეორე ნახ. – XII ს-ის პირველი ნახ. Крупнов, 1960 - ძვ.წ. I ათასწლ. პირველი სს.
I B (4-ქორეთი)	ქორიძე, 1961 - ძვ.წ. XIV-XIII სს.	ძვ.წ. IX-VII სს.	I B (ზემო რუთხა)	Motzenbäcker, 1996.
I C (5-თლია)	Техов, 1985 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახ. – VI ს.	ძვ.წ. VIII – VI სს.		
II ჯგუფი - D (6), E (7), F (8,9,10,11), G (12,13), H(14), I (15,16,17), J, K (18), L, M, N, O				
D (6-ნაგარგორა)	Ramischwili, 2002 - ძვ.წ. I ათასწლ. პირველი ნახ.	ძვ.წ. I ათასწლ. პირველი ნახ.		
II E (7-წითელი შუქურა)	Трапш, 1969 - ძვ.წ. VIII-VI სს. Квирквелия, 1981 - ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხ.	ძვ.წ. VIII-VI სს.		
II F (8-წითელი შუქურა, 9-წითელი შუქურა, 10-ეშერის ნაქალაქარი, 11-ვერეშრაგინის ბორცვი)	Трапш, 1969 - ძვ.წ. VIII-VI სს. Шамба, 1984 - ძვ.წ. VIII-VII სს. Шамба, 1984 - ძვ.წ. IX-VII სს.	ძვ.წ. IX-VII სს.		
II G (12,13-წითელი შუქურა)	Трапш, 1969 - ძვ.წ. VIII-VI სს. Квирквелия, 1981 - ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხ.	ძვ.წ. 967–813 წწ. ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხედი	II G (ყობანი, სამარხი #9)	Bedianashvili 2010: 281. Bedianashvili 2016: tab.21/3. რადიოკარბონული თარიღი - ძვ.წ. 967–813 წწ.
II H (14-აშაპ-ბოგოპოშტა)	Воронов, 1969 - ბრინჯაოს ხანა	ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხედი		
II Ia. b. (15-აშაპ-ბოგოპოშტა,16-ააგი,17-თლია-ტირფაზხი)	Воронов, 1969 - ბრინჯაოს ხანა. Техов, Гаглоев 1974 - ძვ. წ. X—VI სს.	ძვ. წ. X—VI სს.	II I (ყობანი, კუმბულთა, ზემორუთხა,ფასკაუ)	Chantre 1886: XII-1,2. Уварова 1900: LXXXIX 1,2. Motzenbäcker 1996: 107-109, tab. 29/12, 36/5,6.
II J		ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხედი	II J (ფასკაუ ან კუმბულთა)	Motzenbäcker: 1996 - გვიანი ბრინჯაო.
II K (18)	Техов, 2002 - ძვ.წ. VI ს.	ძვ.წ. VII-VI სს.	II K (ყობანი)	Chantre1886: pl.XIIIbis.1. Уварова 1900: XXIII.2. GNM
II L		„	II L (ყობანი, კუმბულთა)	Уварова 1900: Chantre1886
		„	II M (ყობანი)	Yobani Bed.tab.21/2. Chantre 1886: pl. XII,2
II N		„	II N (ბარეი)	Козенкова, 1982.
II O		„		GNM Bedianashvili. 2016.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აბრამიშვილი, რ. (1957). *სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის.* სსმმ, ტ. XIX-A, და XXI-B. თბილისი.

აბრამიშვილი, რ. (1961). *რკინის ფართო ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.).* სსმმ, ტ. XXII-B. თბილისი.

აბრამიშვილი, რ. (1997). *ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები.* თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, N 1. თბილისი.

გოგიბერიძე, ნ. (1984). *ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთი ტიპი.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე'', N 4. თბილისი.

დავლიანიძე, ც. (1983). *ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.* თბილისი.

კალანდაძე, ალ. (1980). *სამთავრო. წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.* მცხეთა, ტ. IV. თბილისი.

კალანდაძე, ნ. (2006). *კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გრავირებული და ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნაწარმი (ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა).* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის (არქეოლოგია) ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია. თბილისი.

ლორთქიფანიძე, მარგ. (1975). *კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები.* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ოთ. (2001). *,,განძები'' კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დფინიცია და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა).* კრებ.: კავკასია, ნეოლითბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატებანი VI. თბილისი.

ლუკიანოვიჩი, ქშ. (2015). *საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი.* აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია. თბილისი.

პაპუაშვილი, რ. (1998). *გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით.* მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია. თბილისი.

რამიშვილი, ალ. (2001). *კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით.* ძიებანი, დამატებანი, VI. თბილისი.

სახაროვა, ლ. (1976). *ლეჩხუმის 1970-1971 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.* მაცნე, N 3. თბილისი.

†სახაროვა, ლ., სულავა, ნ. (2014). *ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები).* ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. თბილისი.

სულავა, ნ. (1996). *მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში.* თბილისი.

სულავა, ნ. (2000). *თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის.* ძიებანი N 6. თბილისი.

სულავა, ნ. (2003). *ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ.* ძიებანი N 10. თბილისი.

სულავა ნ., კალანდაძე, ნ. (2004). *გვიანბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის ზოგიერთი საყრდენი არტეფაქტის არქეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევა (ნახევარწრიული აბზინდები, ყუამილიანი ცულები, შტანდარტები სამთავროსა და ბრილის სამაროვნის მასალების მიხედვით).* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი (ხელნაწერი). თბილისი.

სულავა ნ., კალანდაძე, ნ. (2005). *მინით ინკრუსტირებული უძველესი ნივთები ბრილისა და სამთავროს სამაროვნებიდან, I.* ACADEMIA, № 6-7 . თბილისი.

სულავა, ნ. (2006). *კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი).* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

სულავა, ნ. (2010). *კოლხურ-ყობანური ბრინჯაო: სტრატეგია, შედეგები და პერსპექტივები.* საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები“, ძიებანი, დამატებანი IV. თბილისი.

სულავა, ნ. (2011). კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). თბილისი.

სულავა, ნ. (2022). *კოლხური ბრინჯაოს კულტურა და ,,ფანტასტიკური ცხოველი'' (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გავრცელება, გენეზისი).* სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ IX. ბათუმი.

სულავა, ნ. (2025). *სპილენძის მეტალურგია და კოლხური ბრინჯაოს კულტურა.* მაცნე N 2. თბილისი.

ფანცხავა, ლ. (1988). *კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები.* თბილისი.

ფანცხავა, ლ., მაისურაძე, ბ., გობეჯიშვილი, გ. (2001). *ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი N 12 სამარხის დათარიღებისათვის.* ძიებანი, N8. თბილისი.

ფირცხალავა, მ. (1978). *სკვითური ტიპის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის.* სას, I. თბილისი.

ფირცხალავა, მ. (2001). *საქართველოს ე.წ. სკვითურინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის.* ძიებანი, დამატებანი IV. თბილისი.

ქორიძე, დ. (1961). *მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი).* თბილისი.

ჩუბინიშვილი, ტ. (1957). *მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

Bedianashvili, G., Bodet, C. (2010). *Koban Necropolis, Tombs 9 and 12: The Late Bronze to the Early Iron Age of the Northern Caucasus*. TÜBA-AR Türkiye Bilimler Akademisi Arkeoloji Dergisi.

Born, H. (1984). *Meisterwerke kaukasischer Bronzeschmiede*. Berlin.

Chantre, E . (1886). *Recherches anthropologiques dans le Caucase, I, Atlas.* Paris-Lion.

Čugunov, K.V., Parzinger, H., Nagler, A. (2010). Der skythenzeitliche Fürsten-kurgan Aržan 2 in Tuva. Archäologie in Eurasien 26. Berlin.

Kossack, G. (1983). *Tli Grab 85. Bemerkungen zum Beginn der skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus.* Beiträge AVA, Band 5, München,

Matei, Al. (1978). *Der bronze Akinakes von Firminiş.* DACIA, Revue d„archeologie et d„ histoire ancienne Roumanie. XXII. Bucureşti.

Motzenbäcker, I. (1996). *Sammlung Kossnierska.* Berlin.

Müller-Karpe, H. (1959). *Beiträge zur Chronologie der Urnenfelderzeit nördlich und südlich der Alpen.* RGF - 22. Berlin.

Ramischwili, A. (2002). *Gürtelhacken. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies“*. Bochum.

Сулава Н. (2022). *Мала ливарна форма колхідської бронзової культури з Лечхумі (Грузія).* Сб.: Міжнародній науковій конференції ,,Україна-Грузія: діалог культур та цивілізацій''. Київ.

Сулава, Н. 2022. *Колхідська бронзова культура – трохи про історію створення деяких «археологічних культур» Кавказу*. Збірник «Схід та Україна: матеріали конференції (17-18 жовтня 2022 р.) присвяченої пам›яті Ярослава Дашкевича». Київ.

Sulava, N. (2001). L*etschchumi - eine bedeutendste frühe Metallurgie - Region in der Kolchis.* GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies,“ Bochum.

Sulava, N. (2008). *On a small mould discovered in mountainous Colchis*. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM). - U. Jalcin (Ed.), Ankara.

Sulava, N., Kalandadze, N. (2008). *Glass inkrusted ancient Artifacts from Georgia (Brili and Samtavro burial Grounds)*. International Conference AMITEM 2008. Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediterrnean. Ankara.

Sulava, N. (2010). *Colchian-Koban Bronze: Strategy, Results and Prospects, International Conference ,,Georgian archaeology at The turn of the 21st century: results and perspeqtives (Dedikated to the 80th anniversary of the distinguished Georgian scholar O. Lordkipanidze).* Tbilisi.

Воронов, Ю.Н. (1969). *Археологическая карта Абхазии*. Сухуми.

Доманский, Я. В. (1984). *Древняя художественная бронза Кавказа (в собрании Государственного Эрмитажа)*. Москва.

Иессен, А. А. (1935). *К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе.* ИГАИМК, 120, М.,-Л.

Квирквелия, Г. Т. (1981). *Материальная культура северо-западной Колхиды в VIII-V вв. до н.э.* (Автореферат кандидатской диссертации). Тбилиси.

Козенкова, В. И. (1982). *Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. Восточный вариант.* Москва.

Козенкова, В. И. (1996). *Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в ранне железном веке.* Москва.

Козенкова, В. И. (1998). *Материальная основа быта кобанских племен (Западный вариант*). САИ, вып. В2-5. Москва.

Крупнов, Е. И. (1960). *Древняя история Северного Кавказа*. Москва.

Куфтин, Б.А. (1944). *К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии.* ВГМГ, XII-В. Тбилиси.

Куфтин, Б. А. (1949). *Археологическая маршрутная экспедиция в южную Осетию и Имеретию*. Тбилиси.

Медведская, И. Н. (1992). *Периодизация скифской архаики и древний Восток.* СА. № 3. Москва.

Монгайт, А.Л. (1974). *Археология Западной Европы. Бронзовый и железный века.* Москва.

Панцхава, Л., Сулава, Н., Папуашвили, Р. (2003). *Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? .* Кавказоведение, № 4. Москва.

Пицхелаури, К.Н. (1969). *Локализация археологических культур Восточной Грузии*. ТКАЭ, I. Тбилиси.

Садрадзе, В. (1991). *Мцхета в XV-XIII вв. до нашей эры (Вопросы хронологии и периодизации памятников Шида Картли).* Тбилиси.

Сахарова, Л.С. (1966). *Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали.* Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.

Тенишева, М. К. (1930). *Эмаль и инкрустация.* Seminarium Kondakovianum. Прага.

Техов, Б. В., Гаглоев, В. Х. (1974). *Работы Юго-Осетинской экспедиции.* Археологические открытия 1973 года. Москва.

Техов, Б.В. (1985). Т*лииский могильник,* III. Тбилиси.

Техов, Б.В. (2002). *Тайны древних погребений. Археология, история,* этнография. Владикавказ.

Трапш, М. М. (1969). *Труды, т. 2*. Сухуми.

Уварова, П.С. (1900). *Могильники Северного Кавказа.* (МАК. Вып. VIII). Москва.

Шамба, Г.К. (1984). *Раскопки древних памятников Абхазии.* Сухуми.

Nino Sulava

SEMI-CIRCULAR BELT BUCKLES IN THE COLHIAN BRONZE CULTURE (ARCHAELOGICAL ATLAS: TYPOLOGY, SPECIAL DISTRIBUTION, CHRONOLOGY, AND CULTURAL GENESIS)

Abstract

Semicircular buckles are one of the most prominent artifacts of the Colchian Bronze Age (the so-called "Colchian-Kobanian Bronze Age"), which are important to be determined according to their typology, area, chronology, and genesis in order to resolve debatable issues of the archaeological cultures of the Caucasus.

Semicircular buckles, whose distribution is determined by the area of the Colchian Bronze Culture, are divided into two groups and 15 types. Chronologically, the buckles of group I date back to the first quarter of the 1st millennium BC, while the buckles of group II, more generally, to the first half of the 1st millennium BC. One theory links the genesis of these objects to mountain Colchis with the similar method of making semicircular awls and rectangular buckles, as well as the mold found in mountainous Colchis (Lechkhumi, Tskheti settlement), into which a meandering swastika-shaped inlay material (glass or metal?) was cast. In turn, the mentioned region is considered one of the centers of the origin of Colchis copper metallurgy.

Keywords: Semicircular abalones, so-called "Colchian-Kobanian bronze", Colchian bronze culture, inlay.